თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ

მემორანდუმის მონაწილე მხარეები:
საქართველოს უზენაესი სასამართლო
საქართველოს პროკურატურა
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური
სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პრეამბულა

მემორანდუმის მონაწილე მხარეები, აღიარებენ რა სახელმწიფოში სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით (შემდგომ - „შეუწყნარებლობის მოტივით“) ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, აცნობიერებენ რა, რომ თანასწორობისთვის ბრძოლა კომპლექსური და დინამიკური ამოცანაა, რის გამოც შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის სისტემის შექმნა განგრძობადი პროცესია და საჭიროებს მუდმივ დახვეწას, მიზნად ისახავენ რა, შექმნან შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სრულყოფილი სისტემა, სჯერათ რა, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის სისტემა უნდა იყოს ზუსტი, სარწმუნო, გამჭვირვალე, განჭვრეტადი და საჯარო, იზიარებენ რა, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის სფეროში არსებულ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სტანდარტებს, პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და ემსახურებოდეს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტას, აღიარებენ რა თანამშრომლობის მნიშვნელობას, გამოხატავენ მზაობას შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის სფეროში შეთანხმებული პრინციპებისა და ერთიანი მიდგომის დასანერგად და თანხმდებიან წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმზე (შემდგომ „მემორანდუმი“).

1. მემორანდუმის მიზანი

1.1. შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების სფეროში მემორანდუმის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობის პრინციპების, სტანდარტებისა და წესების განსაზღვრა.

1.2. შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზის, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესების განსაზღვრა.

2. მემორანდუმის შინაარსი

მემორანდუმს აქვს დანართი, რომელიც მემორანდუმის განუყოფელი ნაწილია. დანართი განსაზღვრავს:

2.1. შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის კონცეფციას.

2.2. შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კლასიფიკაციასა და დასამუშავებელ მონაცემებს.

2.3. მემორანდუმის მონაწილე მხარეთა მიერ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების წესს.

2.4. დასამუშავებელი ინფორმაციის განაწილებას მემორანდუმის მონაწილე მხარეთა შორის, მათი კომპეტენციის გათვალისწინებით.

3. მემორანდუმის მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მემორანდუმის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, მემორანდუმის დანართით განსაზღვრული წესით აწარმოონ და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (შემდგომში_ საქსტატი) მიაწოდონ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები.

3.2. საქსტატი ვალდებულია, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა გამოაქვეყნოს წინა წლის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკური ანგარიში.

3.3. მემორანდუმის მონაწილე მხარეები, გარდა საქსტატისა, ვალდებულნი არიან, ყოველი საანგარიშო პერიოდის არა უგვიანეს 15 აპრილის, 31 ივლისის, 15 ოქტომბრისა და

საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 31 იანვრისა ერთმანეთს მიაწოდონ მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მონაცემების საწარმოებლად საჭირო ინფორმაცია.

3.4. მემორანდუმის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს 20 თებერვლისა, საქსტატს მიაწოდონ წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი ანგარიშის გამოსაცემად საჭირო მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მონაცემები, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3.5. მემორანდუმის მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან მათ მიერ შეთანხმებული პერიოდულობით გაანალიზონ გამოქვეყნებული ანგარიშების მონაცემები და საქსტატს მიაწოდონ სტატისტიკური მონაცემების ანალიზის ერთიანი დოკუმენტი. საქსტატი დოკუმენტის საჯაროობას უზრუნველყოფს არაუგვიანეს 1 თვისა.

3.6. მემორანდუმის მონაწილე მხარეები, კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მათ მიერ შეგროვებული, დამუშავებული, გაანალიზებული და გამოქვეყნებული მონაცემები იყოს ზუსტი.

3.7. მემორანდუმის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გაანალიზების პროცესში დაიცვან მემორანდუმის პრეამბულით განსაზღვრული პრინციპები.

3.8. მემორანდუმის მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან, მათი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელონ ყველა კანონიერი მოქმედება მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

3.9. მემორანდუმის მონაწილე მხარეები უფლებამოსილნი არიან, ერთმანეთისგან მოითხოვონ მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

4. მემორანდუმის ამოქმედება, გამოქვეყნება, ცვლილების შეტანა, შეწყვეტა

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს უვადოდ.

4.2. ხელმოწერის შემდეგ, მემორანდუმი უნდა გამოქვეყნდეს და მისი მოქმედების მანძილზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მემორანდუმის საჯაროობა.

4.3. მემორანდუმში ცვლილების შეტანა შესაძლებელია წერილობით, მემორანდუმის მონაწილე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

4.4. მემორანდუმის მონაწილე მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მემორანდუმში ცვლილების შეტანა აუცილებელია, სავალდებულო ძალის მქონე შიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო კანონმდებლობის (მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო სასამართლოთა პრეცედენტული გადაწყვეტილებების) საფუძველზე მემორანდუმის მონაწილეთა ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების, ასევე

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მარეგულირებელი ნორმების იმგვარი ცვლილების შემთხვევაში, როდესაც ობიექტურად შეუძლებელი ხდება მემორანდუმის მონაწილე მხარის მიერ მისთვის მემორანდუმის დანართით განსაზღვრული სტატისტიკის წარმოება, ან/და საჭირო ხდება დამატებითი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

4.5. მემორანდუმი შესაძლებელია, გაუქმდეს მემორანდუმის მონაწილე მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით, ასევე სავალდებულო ძალის მქონე შიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო კანონმდებლობის ისეთი ცვლილების შედეგად, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მემორანდუმის მოთხოვნათა შესრულებას და მათი გადალახვა მემორანდუმში ცვლილების შეტანით შეუძლებელია.

5. მემორანდუმის ავთენტურობა, ეგზემპლარები

5.1. მემორანდუმის ავთენტური ტექსტი შედგენილია წერილობით, ქართულ ენაზე.

5.2. მემორანდუმის დოკუმენტის დედანი შედგენილია ფიზიკური სახით, თანაბარი ძალის ხუთ ეგზემპლარად და ხელმოწერილია ყველა მონაწილე მხარის მიერ.

6. გარდამავალი დებულებები

6.1. წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2020 წლის 23 სექტემბრის თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ.

6.2 სპეციალური საგამოძიებო სამსახური წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას დაიწყებს მემორანდუმის ხელმოწერის მომდევნო თვის პირველი დღიდან.

მემორანდუმი ხელმოწერილია : **2023 წლის 5 ოქტომბერი**

საქართველოს გენერალური პროკურორი

ირაკლი შოთაძე

ხელმოწერა ----------

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარე **ნინო ქადაგიძე**

ხელმოწერა ----------

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

ვახტანგ გომელაური

ხელმოწერა ----------

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი

გოგიტა თოდრაძე

ხელმოწერა ----------

საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი

კარლო კაციტაძე

ხელმოწერა ----------

დანართი

დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კლასიფიკაცია

დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული აერთიანებს სამ კატეგორიას:

1. დანაშაულები, რომელთა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი.

აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133^2, 142-ე, 142^1, 142^2, 155-ე, 156-ე, 166-ე, 239^1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

2. დანაშაულები, რომელთა ქმედების მაკვალიფიცირებელი ელემენტია შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი.

აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ“ და ,,$დ^1$“ ქვეპუნქტებით, 115-ე მუხლის მე2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის ,,დ“ და ,,$დ^1$“ ქვეპუნქტებით, 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით (117-ე მუხლის მე-5 ნაწილის ,,დ“ და ,,$დ^1$“ ქვეპუნქტების ანალოგიურად), 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტით, 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ვ“ ქვეპუნქტით, 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ვ“ ქვეპუნქტით, 258-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისას პირი მოქმედებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ნიშნებია: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, გენდერული იდენტობა, ასაკი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქალაქეობა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი და დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი.

დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნებისათვის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ

დანაშაულებზე ტერიტორიული განფენილობის დაჯგუფება მოხდება საქართველოს რეგიონული დაყოფის პრინციპის საფუძველზე, შემდეგნაირად:

- ქ. თბილისი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
- კახეთი;
- შიდა ქართლი;
- ქვემო ქართლი;
- იმერეთი;
- გურია;
- სამეგრელო და ზემო სვანეთი;
- სამცხე-ჯავახეთი;
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;
- მცხეთა-მთიანეთი.

შენიშვნა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების, აგრეთვე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის“ ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები, სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატისტიკურ მონაცემებში წარმოდგენილი იქნება საქართველოს რეგიონული დაყოფის პრინციპის დაცვის გარეშე.

საქართველოს პროკურატურა ტერიტორიულ განფენილობას, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ცალკე სახით არ არის წარმოდგენილი საქართველოს საოლქო პროკურატურა, დაითვლის საქართველოს პროკურატურის ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

საქართველოს პროკურატურის ტერიტორიული ერთეულებია:

1. თბილისის პროკურატურა (გამოქვეყნებული მონაცემები მოიცავს საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებსაც);
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა (მოიცავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და გურიის რეგიონს);
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა;
4. კახეთის საოლქო პროკურატურა;
5. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა;

6. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა;
7. სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა;
8. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა (მოიცავს იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს);
9. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური ტერიტორიულ განფენილობას, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ცალკე სახით არ არის წარმოდგენილი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამმართველო, დაითვლის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ტერიტორიული ერთეულებია:

1. აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველო (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, მცხეთა-მთიანეთის მხარე, ქვემო ქართლის მხარე, შიდა ქართლის მხარე, სამცხე-ჯავახეთის მხარე, ცხინვალის რეგიონი);

2. კახეთის სამმართველო (კახეთის მხარე);

3. დასავლეთ საქართველოს სამმართველო (იმერეთის მხარე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე);

4. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა);

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, გურიის მხარე).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების, გამოძიების დაწყების მუხლის და სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნის მიხედვით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მემორანდუმის მიზნებისთვის, აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების გამოყენებით.

- შიდა კონტროლის მექანიზმი გულისხმობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში გამოძიების ხარისხის მონიტორინგს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობითა და კომუნიკაციის სხვა გზებით.
- გარე კონტროლის მექანიზმი გულისხმობს კონკრეტული საქმეების შესახებ ინფორმაციის მიღებას გარე წყაროებისგან (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა), როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღსარიცხი ერთეულებია:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებულ გამოძიებათა რაოდენობა - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

იგულისხმება ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც პირველადი შესწავლით, იკვეთება შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორი/ინდიკატორები, კერძოდ:

- (სავარაუდო) დაზარალებულის აღქმა;
- (სავარაუდო) დაზარალებულის კუთვნილება უმცირესობის ჯგუფისადმი ან/და ასოცირება ამგვარ ჯგუფთან;
- მოწმის აღქმა;
- (სავარაუდო) ბრალდებულის აღქმა;
- შემთხვევის ადგილზე გაკეთებული ნახატები, სიმბოლოები და წარწერები;
- შემთხვევის ადგილზე გაკეთებული კომენტარები.

- (სავარაუდო) ბრალდებულსა და (სავარაუდო) დაზარალებულს შორის ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და კულტურული განსხვავებები;
- (სავარაუდო) ბრალდებულის ორგანიზებული, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა ან/და მასთან ასოცირება;
- დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო;
- დანაშაულის ჩადენის ხერხი და ხასიათი;
- (სავარაუდო) ბრალდებულის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულებისა და ინციდენტების ხასიათი და სიხშირე

აღნიშნული აღსარიცხი ერთეული წარმოდგენილი იქნება ტერიტორიული განფენილობის მიხედვითაც.

2. გამოძიების დაწყების მუხლი - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებული გამოძიებების აღრიცხვა მოხდება გამოძიების დაწყების მუხლის მიხედვით.

3. დისკრიმინაციის ნიშანი ტერიტორიული განფენილობის მიხედვით - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებების აღრიცხვა მოხდება დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით, პირველადი შესწავლის შედეგად, იდენტიფიცირებული შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორ(ებ)იდან გამომდინარე, ტერიტორიული განფენილობის მიხედვით.

4. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა - აღსარიცხი ერთეული საქმე.

აღნიშნული მონაცემით წარმოდგენილი იქნება სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე იმ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობა, რომელშიც ჩაერთო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, სპეციალური საგამოძიებო სამსახური წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების, გამოძიების დაწყების მუხლის და სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნის მიხედვით.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, მემორანდუმის მიზნებისთვის, აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელია გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების გამოყენებით.

- შიდა კონტროლის მექანიზმი გულისხმობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოძიების ხარისხის მონიტორინგს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობითა და კომუნიკაციის სხვა გზებით.
- გარე კონტროლის მექანიზმი გულისხმობს კონკრეტული საქმეების შესახებ ინფორმაციის მიღებას გარე წყაროებისგან (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი და სხვა) როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ აღსარიცხი ერთეულებია:

1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებულ გამოძიებათა რაოდენობა - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

იგულისხმება ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც პირველადი შესწავლით, იკვეთება შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორი/ინდიკატორები, კერძოდ:

- (სავარაუდო) დაზარალებულის აღქმა;
- (სავარაუდო) დაზარალებულის კუთვნილება უმცირესობის ჯგუფისადმი ან/და ასოცირება ამგვარ ჯგუფთან;
- მოწმის აღქმა;
- (სავარაუდო) ბრალდებულის აღქმა;
- შემთხვევის ადგილზე გაკეთებული ნახატები, სიმბოლოები და წარწერები;
- შემთხვევის ადგილზე გაკეთებული კომენტარები;
- (სავარაუდო) ბრალდებულსა და (სავარაუდო) დაზარალებულს შორის ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და კულტურული განსხვავებები;
- (სავარაუდო) ბრალდებულის ორგანიზებული, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა ან/და მასთან ასოცირება;
- დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო;

- დანაშაულის ჩადენის ხერხი და ხასიათი;
- (სავარაუდო) ბრალდებულის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულებისა და ინციდენტების ხასიათი და სიხშირე;

აღნიშნული აღსარიცხი ერთეული წარმოდგენილი იქნება ტერიტორიული განფენილობის მიხედვითაც.

2. გამოძიების დაწყების მუხლი - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებული გამოძიებების აღრიცხვა მოხდება გამოძიების დაწყების მუხლის მიხედვით.

3. დისკრიმინაციის ნიშანი ტერიტორიული განფენილობის მიხედვით აღსარიცხი ერთეული - საქმე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიებების აღრიცხვა მოხდება დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით, პირველადი შესწავლის შედეგად, იდენტიფიცირებული შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორ(ებ)იდან გამომდინარე, ტერიტორიული განფენილობის მიხედვით.

4. მსხვერპლის, მოწმისა და დაზარალებულის მრჩევლის ჩართულობა - აღსარიცხი ერთეული საქმე.

აღნიშნული მონაცემით წარმოდგენილი იქნება სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე იმ სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობა, რომელშიც ჩაერთო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მსხვერპლის, მოწმისა და დაზარალებულის მრჩეველი.

საქართველოს პროკურატურა

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს პროკურატურა წარმოადგენს სტატისტიკურ ინფორმაციას შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე საანგარიშო პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების/არდაწყების, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ინფორმაციას დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე პროკურატურის მიერ აღსარიცხი ერთეულებია:

1. **სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება** - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო მონაცემს, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემს), ასევე მათი სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი - 18-დან ზევით) და ტერიტორიული განფენილობა. ასევე, აღირიცხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობა პირთა მიხედვით.

2. განრიდება - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომლებიც განრიდდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან (მოიცავს განრიდებულ პირთა საერთო მონაცემს, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში განრიდებულ პირთა მონაცემს), ასევე მათი სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი - 18-დან ზევით) და ტერიტორიული განფენილობა. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებულ პირთა რაოდენობა.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა (მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საერთო მონაცემს, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემს), ასევე მათი სქესი (მამრობითი, მდედრობითი) და ასაკობრივი კატეგორია

(არასრულწლოვანი 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი - 18-დან ზევით), ტერიტორიული განფენილობა. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის რაოდენობა პირთა მიხედვით.

4. სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც პროკურორის დადგენილებით არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების საერთო მონაცემს, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების მონაცემს), ასევე მათი სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი - 18-დან ზევით) და ტერიტორიული განფენილობა. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

5. გამოძიების შეწყვეტა - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს პროკურატურა აღრიცხავს საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგ - სსსკ) შესაბამისი მუხლის, საფუძვლისა და ტერიტორიული განფენილობის მიხედვით.

6. დაზარალებული პირები - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში ცნობილ იქნენ დაზარალებულებად (მოიცავს დაზარალებულად ცნობილ პირთა საერთო მონაცემს, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირთა მონაცემს), ასევე მათი სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი 0-დან 18 წლამდე, ზრდასრული - 18-დან 60 წლამდე, ხანდაზმული - 60-დან ზევით), იურიდიული პირის შემთხვევაში დაზარალებულ იურიდიულ პირთა რაოდენობა, ტერიტორიული განფენილობა. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირთა რაოდენობა.

7. სოციალური კავშირი

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება 1 - 4 პუნქტებში მითითებული პირების სოციალური კავშირი დაზარალებულთან.

8. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

აღნიშნული მონაცემით წარმოდგენილი იქნება სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა საერთო რაოდენობა, რომელშიც ჩაერთო საქართველოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში შემოსული და განხილული საქმეების, შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირების რაოდენობისა და სასჯელის სახეების შესახებ, ასევე ინფორმაციას სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების თაობაზე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სასამართლოს მიერ აღირიცხება:

1. სასამართლოებში შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა - აღსარიცხი ერთეული - საქმე.

რეგიონალურ ჭრილში აღირიცხება სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობა. შემოსული საქმეების რაოდენობიდან ცალკე გამოიყოფა ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებული საქმეების შესახებ.

2. განხილული სისხლის სამართლის საქმეები განხილვის შედეგების მიხედვით - აღსარიცხი ერთეული - საქმე/პირი.

აღირიცხება საანგარიშო პერიოდში საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით განხილული საქმეების მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებული საქმების რაოდენობა.

განხილულ საქმეებში გამოიყოფა:

- **განაჩენის გამოტანით** განხილული საქმეების რაოდენობა (როგორც არსებითი განხილვით, ისე - საპროცესო შეთანხმების საფუძველზე);
- **შეწყვეტილი საქმეების** რაოდენობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით;
- **პროკურატურაში დაბრუნებული საქმეების რაოდენობა** (განრიდების მიზნით, უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და სხვა).

3. სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისათვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენები - აღსარიცხი ერთეული - პირი.

რეგიონალურ ჭრილში აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი.

4. სასამართლოების მიერ შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირების რაოდენობა - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება:

1. მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეებში;
2. მსჯავრდებულთა რაოდენობა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით.
3. მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესის (მდედრობითი, მამარობითი) და ასაკობრივი კატეგორიის (არასრულწლოვანი 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი - 18-დან ზევით) ჭრილში;
4. მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის სოციალური კავშირი.

5. შეფარდებული სასჯელის სახეები - აღრიცხვის ერთეული - პირი.
აღირიცხება მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული სასჯელის სახეები სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით.

6. სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება - აღსარიცხი ერთეული - პირი.

დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით აღირიცხება:

1. მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც სასამართლოს მიერ გამოყენებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის პირველი ნაწილი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით;

2. მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც სასამართლოს მიერ გამოყენებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლის პირველი ნაწილი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება რეგიონალურ ჭრილში.